საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4185/01
26/04/2022

4185-01-2-202204260950

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი, №7397 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედა ვანიდან ქ. ვანამდე მდ. ჭიშურას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ საპროექტო მონაკვეთის (მარჯვენა ნაპირი) მოპირდაპირედ, მდ. ჭიშურას მარცხენა მხარეს, ჭალა-კალაპოტის ზონის მიმდებარედ, ფიქსირდება სტაბილიზაციის პროცესში მყოფი მეწყრული სხეული. ვინაიდან, მომავალში შესაძლებელია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა საჭირო გახდეს მდ. ჭიშურას მარცხენა ნაპირზეც მეწყრული სხეულის ძირის გასწვრივ, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში. დოკუმენტში მითითებული უნდა იქნეს ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა განხორიცელდება დეტალური ჰიდროლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილიპროექტის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044